გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი: ნათელა მაჭარაშვილი	
საგანი: ისტორია	**კლასი:** X[1]
თემა: ფოტო, როგორც ისტორიული წყარო	**დრო:** 45 წუთი.
მოსწავლეთა პროფილი: **მოსწავლეთა რაოდენობა-**32 კლასში არ არის სსსმ მოსწავლე	
გაკვეთილის მიზანი: ● მოსწავლეები მოახდენენ ისტორიული წყაროების კლასიფიკაციას; ისტ. X. 5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება. - ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს; - ერთმანეთისაგან ანსხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს;. ● მოსწავლეები შეძლებენ კონკრეტული ისტორიული წყაროს შესახებ განსხვავებული დამოკიდებულების/გამონათქვამის კრიტიკულად გაანალიზებას/შეფასებას,გაზიარებას; ისტ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები. - მოსწავლე მსჯელობს ისტორიული ინტერპრეტაციის ჰიპოთეზურ ხასიათზე და აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ისტორიული ინტერპრეტაცია შეიძლება გადაფასდეს ახალი მასალის მოძიების (გამოქვეყნების) შემთხვევაში; ● მოსწავლეები დაადგენენ ფოტოს, როგორც ისტორიული წყაროს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ; ისტ.X. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.	

- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს – ავტორის მოტივაციას;
- ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ისტორიულ წყაროდან მიღებულ ინფორმაციას აჯგუფებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, რელიგია) მიხედვით;
- განასხვავებს იმ ინფორმაციას, რომლის მიწოდება ავტორის უპირველესი მიზანია;
- ფლობს ინფორმაციას ისტორიული დოკუმენტის შექმნის თარიღისა და ადგილის შესახებ;
- გამოთქვამს მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი.

- მოსწავლეები შეძლებენ კონკრეტულ ისტორიული წყაროს მიღმა არსებული ინფორმაციის დანახვას/გაგრძელებას,მოახდენენ აზრების გაზიარებას;

ისტ. X. 8. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული თემის დაწერა
-მასწავლებელს (ხელმძღვანელს, თანაკლასელებს) წარუდგენს თემის შავ ვარიანტს.

მოსალოდნელი შედეგები:
-მოსწავლეები მოახდენენ წყაროების კლასიფიკაციას კონკრეტული ნიშნებისა და შინაარსის მიხედვით;

-მოსწავლეები იმსჯელებენ კონკრეტული ისტორიული წყაროს შესახებ არსებულ თვალსაზრისზე,შეაფასებენ მას და არგუმენტირებულად ჩამოაყალიბებენ საკუთარ შეხედულებას;

-მოსწავლეები განსაზღვრავენ ისტორიული წყაროს (ფოტოს)შექმნის მიზეზს,შედეგს, დააჯგუფებენ წყაროდან მიღებულ ინფორმაციას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან,შეაფასებენ წყაროს სანდოობას და კონკრეტულ კითხვებზე დაყრდნობით დააფიქსირებენ საკუთარ აზრს;

-მოსწავლეები შემოქმედებითად გააგრძელებენ ფოტოს ისტორიას;
-მოსწავლეები გაუზიარებენ ერთმანეთს ყველა „გაჩერებაზე „მიღებულ იდეებს/შთაბეჭდილებებს;

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

ისტ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

- მოსწავლე მსჯელობს ისტორიული ინტერპრეტაციის ჰიპოთეზურ ხასიათზე და აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ისტორიული ინტერპრეტაცია შეიძლება გადაფასდეს ახალი მასალის მოძიების (გამოქვყენების) შემთხვევაში;

ისტ. X. 5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
- ერთმანეთისაგან ანსხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს.

ისტ. X. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს – ავტორის მოტივაციას;
- ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას ადგენს მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს;
- ისტორიულ წყაროდან მიღებულ ინფორმაციას აჯგუფებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, რელიგია) მიხედვით;
- განასხვავებს იმ ინფორმაციას, რომლის მიწოდება ავტორის უპირველესი მიზანია;
- ფლობს ინფორმაციას ისტორიული დოკუმენტის შექმნის თარიღისა და ადგილის შესახებ;
- გამოთქვამს მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი.

ისტ. X. 8. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული თემის დაწერა

- მასწავლებელს (ხელმძღვანელს, თანაკლასელებს) წარუდგენს თემის შავ ვარიანტს.

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ–ჩვევები:

- მოსწავლეები იცნობენ სხვადასხვა სახის წყაროებს , როგორც გარეგნული, ასევე შინაარსობლივი კუთხით, იციან პირველადი და მეორადი წყაროს ამოცნობა, იციან, თუ როგორ უნდა უნდა დაადასტურონ წყაროს სანდოობა.

ისინი ფლობენ შემდეგ უნარ- ჩვევებს:

- ინფორმაციის ამოცნობა-მოპოვება-დახარისხების უნარი;
- თანამშრომლობის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- შემოქმედებითი უნარი;

- სხვადასხვა სახით ინფორმაციის გადმოცემის/გაზიარების უნარი(წერილობითი, ზეპირი,კომპიუტერული პრეზენტაცია და ა. შ.)უნარი;

შეფასება და თვითშეფასება:

განმავითარებელი შეფასება – დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის, ზეპირი კომენტარი, არაფორმალური დაკვირვება(მასწავლებლის უკუკავშირი ხორციელდება აქტივობების პარალელურად, სიტუაციის შესაბამისად),მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები(გაკვეთილის ბოლოს).

დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის

	დროის ლიმიტის დაცვა	თანამშრომლობა	სხვა ჯგუფების მოსაზრებისადმი პატივისცემა	იდეების არგუმენტირებულად დასაბუთება	წარმოდგენილი ინფორმაციის დავალებასთან შესაბამისობა
I ჯგუფი					
II ჯგუფი					
III ჯგუფი					
IV ჯგუფი					

მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	სრულად	ნაწილობრივ
მოსწავლეებმა მოახდინეს წყაროების კლასიფიკაცია კონკრეტული ნიშნებისა და შინაარსის მიხედვით;		
მოსწავლეებმა იმსჯელეს კონკრეტული ისტორიული წყაროს შესახებ არსებულ თვალსაზრისზე,შეაფასეს იგი და არგუმენტირებულად ჩამოაყალიბეს საკუთარი შეხედულება;		

	მოსწავლეებმა განსაზღვრეს ისტორიული წყაროს (ფოტოს)შექმნის მიზეზი, შედეგი, დაა ჯგუფეს წყაროდან მიღებული ინფორმაცია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მიხედვით ,შეაფასეს წყაროს სანდოობა და კონკრეტულ კითხვებზე დაყრდნობით დააფიქსირეს საკუთარი აზრი;		
	მოსწავლეებმა შემოქმედებითად გააგრძელეს ფოტოს ისტორია;		
	მოსწავლეებმა გაუზიარეს ერთმანეთს ყველა ,,გაჩერებაზე ,,მიღებული იდეები/ შთაბეჭდილებები;		

სასწავლო მასალა და რესურსები:

-ისტორია-10კლასი,მოსწავლის წიგნი,ავტორები- ნ.კიღურაძე,გ.სანიკიძე,ლ.გორდეზიანი,გ.ოთხმეზური,ლ.ფირცხალავა.გამ.ბაკურ სულაკაური,თბ,2012;

-ისტორია.ავტორები-მ.კალანდაძე,ნ.მამუკელაშვილი,ლ.ფირცხალავა.გამ.,,კონა,,,თბ.2004;

-რუკა;

-გერბი;

-დროშა;

-მონეტა;

-კონსტიტუცია;

-სულხან-საბა ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა,,

-კომპიუტერი;

-პროექტორი;

-ფენოპლასტის ბურთულები;

-მობილური ტელეფონი;

-ინტერნეტრესურსები (ლინკი მოცემულ დროზე, 3/04/2017)

https://www.google.ge/search?q=%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwi_pojo-IfTAhVB6RQKHbTxBgEQ_AUIBigB&biw=1280&bih=890#imgrc=AaMDQdAvzcgeBM:

- https://www.google.ge/search?q=%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwi_pojo-IfTAhVB6RQKHbTxBgEQ_AUIBigB&biw=1280&bih=890#imgrc=S5U01luZyR3sxM:
- https://www.google.ge/search?q=%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwi_pojo-IfTAhVB6RQKHbTxBgEQ_AUIBigB&biw=1280&bih=890#imgrc=yhY5iSKZXz6POM:
- https://www.google.ge/search?q=%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwi_pojo-IfTAhVB6RQKHbTxBgEQ_AUIBigB&biw=1280&bih=890#imgrc=iBLxFJverx5MxM:
- https://www.google.ge/search?q=%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwi_pojo-IfTAhVB6RQKHbTxBgEQ_AUIBigB&biw=1280&bih=890#imgrc=EyP-o1J7PYiDcM:
- https://www.google.ge/search?q=%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwi_pojo-IfTAhVB6RQKHbTxBgEQ_AUIBigB&biw=1280&bih=890#imgrc=wHiv82fRp5yuxM:
- https://www.google.ge/search?q=%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwi_pojo-IfTAhVB6RQKHbTxBgEQ_AUIBigB&biw=1280&bih=890#imgrc=FPcWv50Mv6Ah5M:
- http://www.ipress.ge/new/11328-23-tseli-afkhazetis-sheiaraghebuli-konfliqtidan-fotoreportazhi-gmirta-moednidan

აქტივობა №1 (დასახელება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტივობა#1მოსწავლეების დაჯგუფება ნომრების მიხედვით

დრო-1 წთ.

ორგანიზების ფორმა-მთელი კლასი

აქტივობის აღწერა-მოსწავლეები მიდიან მასწავლებლის მაგიდასთან და იღებენ კალათში ჩაყრილ პატარა დანომრილ ბურთულებს.მათ ეძლევათ **ინსტრუქცია**-პირველი ნომრის მფლობელნი თავს მოიყრიან პირველ მაგიდასთან,მეორე ნომრის მფლობელნი -მეორე მაგიდასთან.ასეთი სახით მოხდება დაჯგუფება მესამე და მეოთხე ნომრების შემთხვევაშიც.

აქტივობის მიზანი- შემთხვევითობის პრინციპზე დაყრდნობით მოხდება სხვადასხვა ინტერესის, უნარებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დაჯგუფება.ასეთ შემთხვევაში ჯგუფის ყველა წევრი თავს უფრო თანასწორად გრძნობს.შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი არის თანამშრომლობა(დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის) .ყველას აქვს განცდა იმისა ,რომ ჯგუფის ყველა წევრის აზრი მნიშვნელოვანია.

აქტივობის შედეგი-სხვადასხვა ინტერესის, უნარებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დაჯგუფებით ხდება ახალი უნარის ჩამოყალიბება მოსწავლეებში-**ყურადღების კონცენტრაცია** მოახდინონ ნებისმიერ საკითხზე,რომელიც თუნდაც მისი ინტერესის სფერო არ არის ,უყალიბდებათ **პასუხისმგებლობის უნარი.**დაბალი უნარებისა და შესაძლებლობების მოსწავლეები უფრო მეტად არიან **მოტივირებულნი.**

აქტივობა №2 (დასახელება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტ.#2-საგაკვეთილო თემისა და მიზნის გაცნობა, შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების გაცნობა/შეხსენება(მოსწავლეებთან ერთად არის შედგენილი) ჯგუფებისათვის.აქვე დაურიგდებათ კონკრეტული(განსხვავებული) დავალებები შესაბამისი ინსტრუქციით.

დრო-1წთ.

კლასის ორგანიზების ფორმა- ჯგუფები

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები გაეცნობიან საგაკვეთილო თემას, მიზანს, რომელიც გაკვეთილის ბოლოს შედეგად უნდა გადაიქცეს.გაიგებენ , რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება.დარიგებული დავალებების გარეგნული დაკვირვებით შეიქმნიან პირველ შთაბეჭდილებას.

აქტივობის აღწერა-p.p-ში მაქვს შეტანილი თემა, მიზანი.მოსწავლეებს შევახსენებ,რომ ეს არის პრაქტიკული სამუშაო , სადაც მასწავლებლის ჩართულობა მინიმალურია და რომ დღევანდელ გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდიც ამას ითვალისწინებს.

აქტივობის შედეგი-მოსწავლეები მოახდენენ გონების კონცენტრაციას საგაკვეთილო თემისა და მიზნის შესაბამისად, მოახდენენ დარიგებული დავალებების გარეგან დაკვირვებას.

აქტივობა №3 (დასახელება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტ.#3-სასწავლო გაჩერებები-პირველი ეტაპი(ყველა გაჩერებაზე მიმდინარეობს ჯგუფური მუშაობა)

ჯგუფებს ვაძლევ **ინსტრუქციას**
-გაეცანით თქვენს მაგიდაზე განთავსებულ კონკრეტულ დავალებას და შეასრულეთ იგი მასზე დატანილი ინსტრუქციის შესაბამისად მაგიდაზე განთავსებულ ,, სამუშაო ფურცელზე,,
-დავალების შესრულებას დაუთმეთ 5 წუთი;
-დროის დასრულების შემდეგ (რომელსაც ტელეფონი შეგახსენებთ) თქვენს მიერ შესრულებულ ,,სამუშაო ფურცელთან,, ერთად გადაინაცვლეთ შემდეგ ,,გაჩერებაზე, და ამჯერად შეასრულეთ იქ განთავსებული დავალება;
-ამავე პრინციპით მოახდენთ ყველა ,,გაჩერებაზე,, გადაადგილებას, დავალებების შესრულებას;
-ყველა ,,გაჩერებაზე,, დავალების შესასრულებლად გაქვთ 5 წუთი;
-ჯგუფების მოძრაობა მოხდება საათის მოძრაობის მიმართულებით;
-ინსტრუქციის შეხსენება მუდმივად შეგიძლიათ მონიტორზე განთავსებული წესებით;

დავალება პირველ გაჩერებაზე-

ინსტრუქცია-მოახდინეთ თქვენს მაგიდაზე განთავსებული წყაროების კლასიფიკაცია შესაბამისი ისტორიული წყაროს ან ისტორიის დამხმარე დარგის მინიშნებით.
მაგიდაზე განთავსებულია შემდეგი წყაროები:
-საქართველოს კოსტიტუცია;
-სულხან-საბა ორბელიანის,, სიბრძნე სიცრუისა,,
-რუკა;
-დროშა;
-გერბი;
-მონეტა;
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები გაიხსენებენ წინარე ცოდნას,შეძლებენ ისტორიული წყაროების კლასიფიკაციას;
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები წინარე ცოდნის გააქტიურებით ამოიცნობენ წყაროებს,მოახდენენ მათ კლასიფიკაციას შესაბამისი ისტორიული წყაროსა თუ ისტორიის დამხმარე დარგის მინიშნებით;

დავალება მეორე გაჩერებაზე

ინსტრუქცია-თქვენს გაჩერებაზე განთავსებულია ცნობილი ქართველი ფოტოგრაფის ალექსანდრე როინაშვილის გამონათქვამი.კრიტიკული თვალით გააანალიზეთ ეს გამონათქვამი,დააფიქსირეთ, ეთანხმებით თუ არა მას. დადებითი თუ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში პასუხები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად.

ალექსანდრე როინაშვილის გამონაქვამი:,,...ისტორიულ ნივთებს გვპარავენ, გვატუებენ, ძეგლები ინგრევა,ცხოვრება წინ მიდის,ადამიანის ყოფა-ცხოვრება იცვლება, ფოტოსურათი კი რჩება წარსულის უტყუარ საბუთად,,.

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეძლებენ ფოტოწყაროს შესახებ გამონათქვამის კრიტიკულად გაანალიზება-შეფასებას;
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები კრიტიკულად გააანალიზებენ და არგუმენტირებულად შეაფასებენ კონკრეტულ შეხედულებას ფოტოსურათის შესახებ,გააცნობიერებენ,რომ ნებისმიერი თვალსაზრისი შეიძლება გადაფასდეს (შეიცვალოს) ახალი მასალის მოძიებისა თუ გამოქვეყნების შემთხვევაში.

დავალება მესამე გაჩერებაზე-თქვენს მაგიდაზე განთავსებულია კონკრეტული ფოტოსურათი#1 დამხმარე ფოტოთი#2 (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება-1918 წლის 26 მაისი,დამოუკიდებელი მთავრობის წევრები და იქვე-საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი);ფოტოსურათს არ ახლავს განმარტება-წამოდგენილია მხოლოდ ფოტოები.
ინსტრუქცია-გააანალიზეთ ეს ფოტო შემდეგი კითხვების დახმარებით(დაიხმარეთ #2 ფოტოც)
1.თქვენი აზრით, რა მიზნითაა ფოტო გადაღებული?
2.ფოტოზე დატანილი რომელი დეტალი გეხმარებათ ფოტოზე გადმოცემული განწყობის აღქმაში?
3.დაახლოებით, რა პერიოდის მოვლენებია ასახული ფოტოზე?
4.რა სახის მინაწერს გაუკეთებდით ამ ფოტოს?
5.რომელ სფეროს ეხება ფოტოზე დატანილი ინფორმაცია(პოლიტიკა,ეკონომიკა,რელიგია.კულტურა)?
6.შეიძლება თუ არა ეს ფოტოსურათი მივიჩნიოთ სანდო წყაროდ?პასუხი დაასაბუთეთ.
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან დაადგინონ ფოტოს,როგორც ისტორიული წყაროს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები გაარკვევენ ფოტოს გადაღების მიზეზს,ამოიცნობენ ფოტოზე გადმოცემულ განწყობას, ფოტოს სავარაუდო გადაღების პერიოდს, დაასათაურებენ, მიაკუთვნებენ შესაბამის სფეროს და არგუმენტირებულად იმსჯელებენ მის სანდოობაზე.

დავალება მეოთხე გაჩერებაზე-ამ გაჩერებაზე განთავსებულია ფოტოსურათი(აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების ჭუბერზე გადმოსვლა);წარმოდგენილია ფოტო ყოველგვარი განმარტების გარეშე.
ინსტრუქცია -ყურადღებით გაეცანით ფოტოსურათს,დაასათაურეთ იგი და გააგრძელეთ ამ ფოტოზე დატანილი ისტორია წერილობით.ეს იქნება ფოტოს მიღმა თქვენი თვალით დანახული ამბავი/ისტორია.
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები ამ ფოტოსურათზე დაყრდნობით შეძლებენ ფოტოს მიღმა არსებული ისტორიის გაგრძელებას-თემის დაწერას.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები დაასათაურებენ ფოტოსურათს, წერილობით გააგრძელებენ ფოტოს მიღმა არსებულ ამბავს/ ისტორიას, შემოქმედებითად მიუდგებიან საკითხს.
დრო-ოთხივე დავალების შესასრულებლად-20 წთ(თითო გაჩერებაზე 5წთ)+2წთ ინსტრუქციის გაცნობა;

ორგანიზების ფორმა–ჯგუფები

აქტივობა №4 (დასახელება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტ.4-სასწავლო გაჩერება-მეორე ეტაპი

ინსტრუქცია-კლასის შუაგულში არის განთავსებული „სწორი პასუხების მაგიდა„სადაც ოთხ ცალად არის მხოლოდ სამი დავალების სწორი პასუხი(არ არის მხოლოდ ფოტოს ისტორიის გაგრძელების რეალური ამბავი).ყველა ჯგუფიდან ერთი მოსწავლე აიღებს სწორ პასუხს და ჯგუფთან ერთად განიხილავს მათ მიერ შესრულებული დავალების შესაბამისობას სწორ პასუხებთან.რომელი დავალებაც სწორი გაქვთ, მონიშნეთ+ ნიშნით, რომელიც არასწორია - ნიშნით.

დრო-2წთ.

ორგანიზების ფორმა-ჯგუფები

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეადარებენ საკუთარ ნაშრომს სწორ პასუხებს, გაიაზრებენ შეცდომებს და დააფიქსირებენ თავიანთი პასუხების შესაბამისობას სწორ პასუხებთან.

აქტივობის შედეგი-მოსწავლეები იმოქმედებენ ინსტრუქციის შესაბამისად, საკუთარი ნაშრომისა და სწორი პასუხების შედარების შემდეგ სათანადო აღნიშვნებით გამოყოფენ სწორ და არასწორ პასუხებს,გაიაზრებენ შეცდომებს.

აქტივობა №5 (დასახელება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტ#5–სასწავლო გაჩერება–მესამე ეტაპი–ჯგუფების მიერ შთაბეჭდილებების გაზიარება მხოლოდ სამი დავალების მიხედვით(გარდა ფოტოს ისტორიის გაგრძელებისა).

დრო–5წთ(თითო ჯგუფს ერთი წუთი+15 წამი)

კლასის ორგანიზების ფორმა–ჯგუფები

აქტივობის მიზანი–მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ შთაბეჭდილებებს;

აქტივობის შედეგი–მოსწავლეების მიერ შთაბეჭდილებების გაზიარებით მოსწავლეები ახდენენ საკუთარი აზრის ზეპირად გადმოცემისა და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარის განვითარებას, ახდენენ იდეების გაცვლა/დახარისხებას.

აქტივობა №6 (დასახელება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტ#6 სასწავლო გაჩერება–მეოთხე ეტაპი–გააგრძელე ფოტოისტორია–ყველა ჯგუფი წარმოადგენს ნამუშევარს(კითხულობენ).

მოსწავლეთა ნამუშევრების წაკითხვის შემდეგ ამ კონკრეტული ფოტოს რეალურ ისტორიას ისევ ფოტოსურათებზე დაყრდნობით აღვადგენ p.p–ში შესრულებული ჩემი პრეზენტაციით.მოსწავლეებს განვუმარტავ,რომ ამ ფოტოს ბევრად უფრო სევდიანი დასაწყისი და დასასრული

აქვს.ჩემს მიერ მოძიებული ყველა ფოტო შეიძლება გამოვიყენოთ , როგორც ისტორიული წყარო,რომელიც დიდ ტკივილს იფარავს. ეს აფხაზეთის ომის ამსახველი სურათებია ,თქვენს მაგიდაზე განთავსებული რესურსი კი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების ჭუბერის მძიმე გზაზე გადმოსვლაა ,რომელსაც ,,სიკვდილის გზას,, ეძახიან. მე მინდა, რომ თქვენს ცნობიერებაში მუდამ ჩაიბეჭდოს ეს ფოტო წარწერით,,გვახსოვდეს აფხაზეთი,,.

დრო-10 წთ.(მოსწავლეების ნამუშევრების წარმოდგენა-2-2წუთი ოთხივე ჯგუფს +ჩემი პრეზენტაცია-2წუთი);

ორგანიზების ფორმა-ჯგუფები

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები გააცნობენ აუდიტორიას ფოტოისტორიის გაგრძელებას,ჩემი პრეზენტაციით კი აღადგენენ რეალურ ისტორიას.

აქტივობის შედეგი-მოსწავლეები გაუზიარებენ აუდიტორიას ნაშრომებს,მოისმენენ რეალურ ისტორიას და ხანგრძლივ მეხსიერებაში შეინახავენ მოგონებებს აფხაზეთზე.დავგეგმავთ კვლევას,,ჩემი აფხაზეთი,,.

აქტივობა#7-შეფასება

დრო-2წუთი

ორგანიზების ფორმა-ჯგუფები

აქტივობის მიზანი- მოხდება მოსწავლეების შეფასება გაკვეთილის დასაწყისში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით და მოსწავლეები გაიგებენ, რა გამოუვიდათ კარგად , რა შეცდომა დაუშვეს და გაკვეთილის მიზანი გადაიქცა თუ არა შედეგად;

აქტივობის შედეგი-მოსწავლეები მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების შემდეგ გააკეთებენ ანალიზს იმის შესახებ, თუ რა გამოუვიდათ კარგად, რა ხარვეზები ჰქონდათ, რისი გამოსწორება არის შესაძლებელი და სასურველი, მომავალში რას შეცვლიან და როგორ მსგავს აქტივობებზე მუშაობის დროს;

აქტივობა №8 (დასახელება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტ#8-მოსწავლეთა უკუკავშირი-გასასვლელი ბილეთები

კითხვები	პასუხები
რომელი დავალება იყო ჩემთვის ყველაზე საინტერესო	
რა გამომივიდა კარგად	

რა ვისწავლე	
რა შეკითხვები გამიჩნდა	

დრო-1 წთ,ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური